## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა – 2022

13 მარტი, 2023 წ.

# კვლევის მიზანი და ობიექტი

## ❖ მიზანი

კვლევის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენა, რომლის გათვალისწინება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

## ❖ კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია იმ პროფესიული უნარების შესწავლა, რომლებსაც მოითხოვს დამსაქმებელი და რომლებიც აუცილებელია ინდივიდის დასაქმებისთვის.

# კვლევის ამოცანები

ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით:

- ✓ დასაქმების ზოგად სტრუქტურაზე ინფორმაციის მოპოვება;
- ✓ დამსაქმებლის მიერ დასაქმებული სამუშაო ძალის უნარების შეფასება;
- ✓ არსებული/პოტენციური ვაკანსიების გამოვლენა;
- ✓ ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა;
- ✓ ვაკანსიებზე შეთავაზებული ანაზღაურების შესწავლა;
- ✓ ახალი კადრის აყვანისას საწარმოთა მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- ✓ დამსაქმებლის მიერ სწავლებასა და გადამზადებაზე გაწეული საქმიანობის შესწავლა;
- ✓ პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციების, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციების გამოვლენა;
- ✓ საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება;
- ✓ დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციების გამოვლენა.
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და სამომავლო ტენდენციები.

# კვლევის მეთოდოლოგია

- შერჩევის დიზაინი: რეგიონი; საწარმოს ზომა;. NACE Rev2
- შერჩევის მოცულობა: 9,500 საწარმო
- სარეზერვო საწარმოთა რაოდენობა: 1,000
- ცდომილება სექციის დონეზე ≤ 1.77%-ზე; ქვეყნის დონეზე ≤ 0.56%-ზე

- გენერალურ ერთობლიობაზე გამოკვლევის შედეგების განზოგადების მიზნით განხორციელდა მონაცემების შეწონვა

| საწარმოს ზომა | რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში | შერჩეულთა რაოდენობა | რეზერვი | გამოკითხვა რეგიონულ ჭრილში | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 49,144 | 9,500 | 1,000 | თბილისი 5,781 კომპანია | მონაცემთა შეგროვება კომბინირებულად:<br>▪ ონლაინ კითხვარი - 9,260 კომპანია<br>▪ პირისპირ ინტერვიუ - 240 კომპანია |
| მსხვილი | 546 | 546 | - | | |
| საშუალო | 2,160 | 2,160 | - | სხვა დანარჩენი 3,719 კომპანია | |
| მცირე | 46,438 | 6,751 | 1,000 | | |

**გენერალური ერთობლიობა წარმოადგენს მოქმედი ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების მონაცემთა ბაზას**

# 1: დასაქმების სტრუქტურა

# დასაქმებულთა რაოდენობა და განაწილება საწარმოთა ზომის, რეგიონების, სქესის და განათლების მიღწეული დონეების მიხედვით

## დასაქმებულთა რაოდენობა

**815,354**

+6 %

| | |
|---|---|
| სრული განაკვეთი | 91% |
| ნახევარი განაკვეთი | 9% |

*2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ 815,354 პირი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6%-ით აღემატება.*

*სახეზეა პოზიტიური ტრენდი, რადგანაც 2021 წელს საქართველოში მოქმედი არაფინანსური და ფინანსური კორპორაციების დასაქმებულთა რაოდენობა 718,722 შეადგენდა, ხოლო დასაქმების ზრდა 4.9%-ს .*

### დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღწეული დონეების მიხედვით

| | |
|---|---|
| უმაღლესი | 57% |
| საშუალო | 25% |
| პროფესიული | 18% |

*2020 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით დასაქმების სტრუქტურაში გაზრდილია პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა წილი 4 პროცენტული პუნქტით.*

### დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით

| | |
|---|---|
| მსხვილი | 42% |
| საშუალო | 20% |
| მცირე | 38% |

*დასაქმებულთა 38% მცირე, 42% მსხვილ, ხოლო 20% საშუალო საწარმოზე მოდის.*

### დასაქმებულთა განაწილება სქესის მიხედვით

54% 46%

*დასაქმებულთა **54%-ს** კაცები შეადგენენ, ხოლო **46%**-ს ქალები*

### დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით




*დასაქმება გაზრდილია თითქმის ყველა რეგიონში, მათ შორის გამორჩეულია რაჭა-ლეჩხუმი (+15%), თბილისი და იმერეთი (7-7%), ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი (6-6%).*

# დასაქმების სტრუქტურა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით




*დასაქმება გაზრდილია თითქმის ყველა სექტორში. ყველაზე მაღალი ზრდაა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში (+33%) სასტუმრო და რესტორნებში (+16%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (+16%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში (+10%);. გამონაკლისია მშენებლობის სექტორი (-3%).*

## დასაქმება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით




*დასაქმების კუთხით ყველა ძირითად პროფესიულ ჯგუფში ზრდა ფიქსირდება, მათ შორის ორნიშნა პროცენტული მაჩვენებლით დასაქმება გაიზარდა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკებისა (18%) და ოფისის დამხმარე პერსონალის ძირითად პროფესიულ ჯგუფში (10%). კლება მხოლოდ, ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების პროფესიულ ჯგუფში დაფიქსირდა, თუმცა აქაც უმნიშვნელო კლებაა (-0.5%).*

# დასაქმებულთა საშუალო ხელფასი – 1,334 ₾ (+6%)




*ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, მენეჯერებს აქვთ – 2,072 ლარი(+6%), ხოლო ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, თვითმფრინავების პილოტებს დაუფიქსირდათ – 6,190₾ (+19%).*




*ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორშია – 2 439 ლარი. საშუალო ხელფასი გაზრდილია ყველა სექტორში, მათ შორის გამორჩეული სექტორებია: ინფორმაცია და კომუნიკაცია (+12%), ხელოვნება, გართობა, დასვენება (+12%), სამთომოპოვებით მრეწველობა (+10%)*

# მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა და მათი განაწილება

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა - **82, 953**

მთლიანი დასაქმების 10%

პენსიაზე გამსვლელთა სავარაუდო რაოდენობა - 7,028

მთლიანი დასაქმების 1%, საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულების 8.5%

*დაბერების მაჩვენებელი ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით*




***დაბერების ხვედრითი წილი ყველაზე მაღალი*** *ენერგეტიკის (21%), უძრავი ქონების (21%) და ვაჭრობის (19%) სექტორებშია.*

***ყველაზე დაბალი*** *საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების (6%), ხელოვნება, გართობა და დასვენების (5%) ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3%) სექტორებში.*

*დაბერების მაჩვენებელი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით - ISCO 08*




***დაბერების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი*** *სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებში ფიქსირდება (18%), ყველაზე დაბალი კი ოფისის დამხმარე პერსონალში (5%)*

# სექცია 2 – დასაქმებულთა უნარების შეფასება

# დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა პროფესიული უნარების შეფასება




კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ საწარმოთა **68%** აცხადებს, რომ გამოცდილება, რომელიც მოითხოვება საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად მინიმუმ ერთი წელია, **30%** აცხადებს – „გამოცდილების გარეშე“.

*„მინიმუმ 1 წელი“ პასუხის წილი ყველაზე მაღალი ენერგეტიკის სექტორშია (92%), შემდეგ მოდის ICT -ის (84%), განათლების (83%) და ჯანდაცვის სექტორები (82%).*

*„გამოცდილების გარეშე“ პასუხის წილი მაღალია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორში (43%), შემდეგ მოდის ვაჭრობა (39%), სასტუმრო და რესტორნები (39%) და უძრავი ქონების სექტორები (33%).*




საწარმოთა უდიდესი წილი (79%) მიიჩნევს რომ დასაქმებულთა უნარები უმეტესად შეესაბამება საჭირო უნარებს და მხოლოდ მცირე ნაწილი (5%) მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები საჭიროებს განვითარებას.

*უნარების განვითარების საჭიროება ძირითადად დასახელდა ვაჭრობის (38%), დამამუშავებელი მრეწველობის (14%), სასტუმროებისა და რესტორნების (10%) და მშენებლობის სექტორებში (8%).*




საწარმოთა ნახევარზე მეტი (52%) დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად სპეციალურ ღონისძიებებს არ მიმართავს, დაახლოებით მეხუთედი მიმართავს დამატებითი ტრენინგის ჩატარების მეთოდსა (20%) და ახალი კვალიფიციური კადრის აყვანას (18%).

*„უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის – 2020“ შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია იმ საწარმოთა წილი, რომლებიც სპეციალურ ღონისძიებებს არ ახორციელებს (2020 წელს 88%)*

# პროფესიული უნარების შეფასება

## ჩამოთვლილი უნარები რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი საწარმოს თანამშრომელთა მიერ მათი ფუნქციების შესასრულებლად




*არსებითად მნიშვნელოვანი: განათლება 83%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 79%*




*არსებითად მნიშვნელოვანი: ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 49%*




*არსებითად მნიშვნელოვანი: ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 74%*




*არსებითად მნიშვნელოვანი: ინფორმაცია და კომუნიკაცია 79%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 71%,*




*არსებითად მნიშვნელოვანი: განათლება - 75%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 73%*




*არსებითად მნიშვნელოვანი: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 65%, მშენებლობა 53%*

# სექცია 3 – ვაკანსიების მიმოხილვა

# საწარმოებში არსებული ვაკანსიები – ბოლო ერთი წლის განმავლობაში

## საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც ვაკანსია ჰქონდათ

## 15,617 (32%)




*ვაკანსიათა ყველაზე მაღალი კონცენტრაციით ხასიათდებიან მსხვილი ზომის საწარმოები – 84% (546 საწარმოდან ვაკანსია ჰქონდა 458-ს), შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები – 65% და მცირე ზომის საწარმოები 30%.*

**არსებული ვაკანსიების რაოდენობა**
137,921

**გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა**
115,756

**შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა**
13,893

*2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში არსებული ვაკანსიების რაოდენობამ 137,921 შეადგინა, საიდანაც საწარმოებმა ვაკანსიების 84% (115,756 ვაკანსია) გამოაცხადეს. გამოცხადებული ვაკანსიებიდან შეუვსებელი დარჩა 12% (13,893 ვაკანსია).*




*ყველაზე მეტი ვაკანსია ვაჭრობის სექტორზე მოდის – 25%, შემდეგ მოდის ინფორმაცია და კომუნიკაცია – 12%, სასტუმროები და რესტორნები – 10%, დამამუშავებელი მრეწველობა – 10%, მშენებლობა 8%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 7%.*

# გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიები – ბოლო ერთი წლის განმავლობაში

**გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით**

115,756

**შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით**

13,893







გამოცხადებულიდან ყველზე მეტი ვაკანსია მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირებისთვისა და სპეციალისტებისთვის იყო განკუთვნილი 20-20%.

შეუვსებელი ვაკანსიების 23% მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებზე მოდის.

# გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიები – ბოლო ერთი წლის განმავლობაში

## გამოცხადებული ვაკანსიების პირველი ათეული ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით და მათ შორის შეუვსებელი ვაკანსიების წილი

| | | |
|---|---|---|
| მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები | 5,037 | 17% |
| პროგრამისტები | 4,944 | 6% |
| საქონლის დემონსტრატორები | 4,625 | 19% |
| შენობის კარკასის მშენებლები | 3,826 | 30% |
| გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | 3,645 | 13% |
| დამლაგებლები და დამხმარეები | 3,454 | 9% |
| კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები | 3,272 | 11% |
| უმაღლესი რგოლის მენეჯერები | 3,232 | 5% |
| მიმტანები | 3,013 | 10% |
| მზარეულები | 2,755 | 7% |

გამოცხადებული ვაკანსიებიდან, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, ყველაზე მეტი ვაკანსია მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველებზე მოდის – 5,037 ვაკანსია, საიდანაც 17 % შეუვსებელი დარჩა.

# დასაქმებულთა საშუალო ხელფასები და ვაკანსიებზე შეთავაზებული ხელფასები



| დასაქმებულთა საშუალო ხელფასი | გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ნომინალური ხელფასი |
|---|---|
| 1,334₾ | 1,411 ₾ |




ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი აღემატება,  ანალოგიურ პროფესიებზე დასაქმებულთა ხელფასებს. **გამონაკლისი** მხოლოდ სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკებია. ყველაზე დიდი სხვაობა სპეციალისტების ჯგუფშია. მათთვის შეთავაზებული ხელფასი 37%-ით აღემატება რეალურ ხელფასს.

# <u>შეუვსებელი ვაკანსიების წილები – ბოლო ერთი წლის განმავლობაში</u>




***ეკონომიკური საქმიანობების*** *სახეების მიხედვით, ვაკანსიების შევსების პრობლემა ყველაზე მეტად ენერგეტიკის სექტორში გამოვლინდა – გამოცხადებული ვაკანსიების 25% შეუვსებელი დარჩა, შემდეგ მოდის მშენებლობა (19%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (16%,) დამამუშავებელი მრეწველობა (15%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში გამოვლინდა (4%).*







**ძირითად პროფესიულ ჯგუფებში** ვაკანსიების შეუვსებლობის ყველაზე მაღალი წილი ხელოსნების და მონათესავე სფეროების მუშების ძირითად პროფესიულ ჯგუფში დაფიქსირდა – 23%.
**ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** მიხედვით (სადაც 100-ზე მეტი ვაკანსია გამოცხადდა), შეუვსებელი ვაკანსიების ყველაზე მაღალი წილი ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორების ჯგუფზე დაფიქსირდა – 92%, საკონტაქტო ცენტრის კლერკები – 86%, ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები 76% .

# გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიები – ბოლო ერთი წლის განმავლობაში

## პრობლემები ვაკანტური პოზიციების შევსებისას

5%, 708 საწარმო

95%, 14 909 საწარმო

- აპლიკანტთა რაოდენობის ნაკლებობა – 26%
  ***ტრანსპორტის*** *სექტორში – 36%*
- აპლიკანტები არ იყვნენ კვალიფიციურები – 19%
  ***მშენებლობის*** *სექტორში – 55%*
- აპლიკანტებს შეთავაზებულზე მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდათ – 16%
  ***წყალმომარაგების*** *სექტორში – 44%*
- აპლიკანტებს აკლდათ სამუშაო გამოცდილება – 14%
  ***პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების*** *სექტორში დაფიქსირდა – 27%*

- აპლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული სამუშაო გარემო – 10%
  ***წყალმომარაგების*** *სექტორში დაფიქსირდა – 38%*
- დიდი კონკურენცია სხვა დამსაქმებლისგან – 9%
  ***საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების*** *სექტორში – 25%*
- არავის მოუმართავს – 6%
  ***სასტუმრო/რესტორნების*** *სექტორში – 25%*
- აპლიკანტები იყვნენ ზედმეტად კვალიფიციურები – 0.4%
  ***ხელოვნება გართობის*** *სექტორში – 30%*

# ახალი კადრის მოძიება

## ახალი კადრის მოძიების წყაროები




## რის საფუძველზე ხორციელდება აპლიკანტთა შეფასება




## რომელ კანდიდატებს აქვთ უპირატესობა?




## რა ზომებს მიმართა საწარმომ ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად?




## გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა?






# სექცია 4 – მოთხოვნა სამუშაო ძალაზე

# ***საწარმოთა განზრახვა დასაქმებულთა გაზრდის თაობაზე***

## მომდევნო 1 წლის განმავლობაში – 27, 126 **დასაქმებული**

**კითხვაზე** – „აპირებთ თუ არა მუშახელის რაოდენობის გაზრდას **მომდევნო 12 თვის განმავლობაში**?" საწარმოთა **3.8%**-მა (**1,855**- საწარმო) გასცა დადებითი პასუხი. დასაქმებულთა ზრდის მოსალოდნელმა ტემპმა კი არსებული დასაქმების **3%** შეადგინა.

| | | |
|---|---|---|
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 6% | ▲ |
| მშენებლობა | 5% | ▲ |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 4% | ▲ |
| სასტუმროები და რესტორნები | 4% | ▲ |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 4% | ▲ |

## მომდევნო 5 წლის განმავლობაში - **51, 040 დასაქმებული**

**მომდევნო 5 წლის განმავლობაში** თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდის შესახებ დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა საწარმოთა **4%-მა** (**1,955**-მა საწარმო). დასაქმებულთა ზრდის მოსალოდნელმა ტემპმა კი მთლიანი დასაქმების **6%** შეადგინა.

| | | |
|---|---|---|
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 14% | ▲ |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა | 9% | ▲ |
| მშენებლობა | 8% | ▲ |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 8% | ▲ |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 7% | ▲ |

*მომდევნო 1 და 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ყველაზე მაღალი **ზრდის ტემპი** ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობის სექტორში (შესაბამისად 6% და 14 %) დაფიქსირდა*

***მოსალოდნელი ზრდის ტემპი მომდევნო 1 წლის განმავლობაში ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით***

| | | |
|---|---|---|
| გიდები | 61% | ▲ |
| დამამუშავებელი მრეწველობის ზედამხედველები | 47% | ▲ |
| ხუროები და დურგლები | 23% | ▲ |
| ავტოსატვირთველების ოპერატორები | 22% | ▲ |
| შენობების არქიტექტორები | 21% | ▲ |

*მოსალოდნელი ზრდის ტემპი მომდევნო 1 წლის განმავლობაში ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (სადაც მინიმუმ 100 დასაქმებულია) ყველაზე მაღალი **გიდებისთვის** ფიქსირდება და 61%-ის ტოლია.*

***მოსალოდნელი ზრდის ტემპი მომდევნო 5 წლის განმავლობაში ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით***

| | | |
|---|---|---|
| გიდები | 113% | ▲ |
| სწრაფი კვების კერძების დამამზადებლები | 74% | ▲ |
| დამამუშავებელი მრეწველობის ზედამხედველები | 47% | ▲ |
| მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები | 45% | ▲ |
| შენობების არქიტექტორები | 42% | ▲ |

*მოსალოდნელი ზრდის ტემპი მომდევნო 5 წლის განმავლობაში ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (სადაც მინიმუმ 100 დასაქმებულია) ყველაზე მაღალი **გიდებისთვის** ფიქსირდება და 113%-ის ტოლია.*

# საწარმოთა განზრახვა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების თაობაზე

## მომდევნო 1 წლის განმავლობაში – 1, 041







*__კითხვაზე__ „აპირებთ თუ არა მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას?“ დადებითი პასუხი (სულ საწარმოთა __0.2%-მა (119-მა საწარმო)__ გასცა, ხოლო დასაქმებულთა შემცირების მოსალოდნელი რაოდენობა კი 1,041 დასაქმებულია*

## მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 1, 664







*მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირების შესახებ დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი საწარმოთა 0.3%-მა __(31-მა საწარმომ)__ გასცა, დასაქმებულთა შემცირების მოსალოდნელი რაოდენობა კი 1,664-ია*

**ბიზნესის სამომავლო განწყობა დადებითია: წლის განმავლობაში დასაქმების ზრდას გეგმავს საწარმოთა 4% (1855 საწარმო), ხოლო შემცირებას მხოლოდ 0,2% (119 საწარმო)**

## **სექცია** 5 – სამუშაო ძალის განვითარება

# საწარმოთა ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში

საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც დააფინანსეს დასაქმებულთა გადამზადება

**2, 105 (4%)**

გადამზადებულთა რაოდენობა

**51, 136 (6%)**

2020 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, საწარმოთა ჩართულობა დასაქმებულთა გადამზადებაში შემცირებულია 4 %-ული პუნქტით. თუმცა გაზრდილია გადამზადებულთა რაოდენობა 51%-ით.

## გადამზადებულ დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით




*მსხვილი ზომის საწარმოებზე 77% მოდის, საშუალო ზომის საწარმოებზე 14%, ხოლო მცირე ზომის საწარმოებზე 9%;*

## გადამზადებულ დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით




| | |
|---|---|
| დასაქმებულებს არ ესაჭიროებათ გადამზადება | 86% |
| შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონა | 12% |
| შესაბამისი გადამზადების კურსების ვერ მოძიება | <1% |
| სხვა | 2% |

დასაქმებულთა არ გადამზადების მიზეზად საწარმოთა **86%** აცხადებს რომ „დასაქმებულებს არ ესაჭიროებათ გადამზადება", შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონა – **12%**, შესაბამისი გადამზადების კურსების ვერ მოძიება <1%.

საწარმოები, რომლებმაც „შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონის" გამო ვერ გადაამზადეს დასაქმებულები, ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილებია ჯანდაცვის ( 21%), უძრავი ქონების (20%), სოფლის მეურნეობის (19%) და ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების სექტორებში (8%).

# საწარმოთა ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში

## *დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით*

- კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალობაში – 73%
- საინფორმაციო ტექნოლოგიები – 12%
- უცხო ენები – 8%
- სხვა – 7%

*საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგების **73%** სპეციალობაში კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოდის, 12% საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, 8% უცხო ენებზე.*

## *მოტივაციის მექანიზმები*

| | |
|---|---|
| არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს | 32% |
| მადლობის გამოცხადება | 29% |
| ფულადი ჯილდოს მიცემა | 28% |
| დაწინაურება | 7% |
| ფასიანი საჩუქრის მიცემა | 4% |
| სხვა | 1% |

*თანამშრომელთა შესანარჩუნებლად მოტივაციის გაზრდის მხრივ დამსაქმებლების მხრიდან თითქმის თანაბრად გამოიყენება: მადლობის გამოცხადება (29%) და ფულადი ჯილდოს მიცემა (28%)*

## *აქვს თუ არა საწარმოს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით*




საწარმოთა მხოლოდ 21%-ს აქვს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით

## *ფლობენ თუ არა ინფორმაციას „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ*




საწარმოთა **45%** ფლობს ინფორმაციას „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გაზრდილია როგორც საწარმოთა ცნობიერება გადამზადების სახელმწიფო პროგრამების შესახებ (2020წ. 36%), ასევე სტრატეგიისა და გზამკვლევის ქონა (2020წ. 16%).

# სექცია 6 – პროფესიული განათლება

# პროფესიული განათლება

გყავთ თუ არა საწარმოში დასაქმებული პროფესიული განათლების მქონე ადამიანი შესაბამის პოზიციაზე?

33% — 16, 198 საწარმო

67%

**დასაქმებულთა რაოდენობა**

**111, 596**

| | |
|---|---|
| მსხვილი | 38% |
| საშუალო | 17% |
| მცირე | 46% |

გამოკითხული **საწარმოების 33%-ს** (16,198 საწარმო) ჰყავს შესაბამის პოზიციაზე **პროფესიული განათლების მქონე** დასაქმებული (**111,596** დასაქმებული).

2020 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, გაზრდილია როგორ საწარმოთა რაოდენობა (+108%-ით), ასევე პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა რაოდენობა (+54%).

გყავთ თუ არა საწარმოში ანალოგიურ პოზიციაზე დასაქმებული პროფესიული განათლების არმქონე ადამიანი?

10% — 4, 933 საწარმო

90%

**დასაქმებულთა რაოდენობა**

**34, 346**

| | |
|---|---|
| მსხვილი | 40% |
| საშუალო | 21% |
| მცირე | 40% |

ანალოგიურ პოზიციაზე, პროფესიული განათლების არმქონე ადამიანთა დასაქმება საწარმოთა **10%-ში** ფიქსირდება (4,933 საწარმო) და **34,346 დასაქმებულს** შეადგენს







კვლევის თანახმად, საუკეთესო 5 ქულით შეფასებულია პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულების **65%**, ხოლო პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულების **53%.**

(შეფასება 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც „5“ ნიშნავს - „სრულიად დამაკმაყოფილებელია“, ხოლო „1“ – „საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი“)

# საწარმოთა თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

## პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

3% — 1, 232 საწარმო

გამოკითხული საწარმოების მხოლოდ **3%** (1,232 საწარმო) თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა წინა წლებთან შედარებით სახეზეა ზრდის ტენდენცია

## თანამშრომლობის ტიპი

| | |
|---|---|
| სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება | 50% |
| სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება | 25% |
| პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება | 22% |
| სხვა | 3% |

## პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობა

სურვილი – 8% მზაობა – 5% საჭიროება – 2%

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი საწარმოთა 8%-მა გამოთქვა, მზაობა 5%, ხოლო საჭიროება – 2%. თანამშრობლობის სურვილი/მზაობა/საჭიროება არ აქვთ საწარმოთა 53%-ს, „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ – 32%;

## სასურველი თანამშრომლობის ტიპი

| | |
|---|---|
| სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება | 41% |
| სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება | 34% |
| პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება | 24% |
| სხვა | 3% |

## დასაქმება თანამშრომლობის შედეგად

55% — 676 საწარმო

45%

## 5,427 დასაქმებული

იმ საწარმოთა ნახევარზე მეტმა **(55%, 676 საწარმო)**, რომლებიც თანამშრომლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (1,232 საწარმო), თანამშრომლობის შედეგად **5,427 ადამიანი** დაასაქმა. 2020 წლის კვლევის მონაცემებთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა 23%-ით, ხოლო საწარმოთა რაოდენობა 12%-ით არის გაზრდილი.

ამრიგად, დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელოვან მიმართულებად შეიძლება იქნას განხილული საწარმოთა და პროფესიულ დაწესებულებათა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება და განვითარება.

# პროფესიული განათლება

ენდობით თუ არა პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას




სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული?




საწარმოების **20% სრულიად ენდობა** პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას, **თითქმის ნახევარი (47%)** კი მეტნაკლებად ენდობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ **მიჭირს პასუხის გაცემა** გამოკითხულთა **30%-მა** დააფიქსირა.

2020 წლის კვლევის თანახმად, 17% პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას სრულიად ენდობოდა, ხოლო 45% მეტნაკლებად.

**სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტულად** პროფესიულ განათლებაში საწარმოების 42%-ს მიაჩნია, 26%-ს უმაღლეს განათლებაში, 16%-ს საშუალო განათლებაში, ხოლო პასუხად „არ ვიცი“ 15%-ის მიერ დაფიქსირდა.

2020 წლის კვლევის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების პროფესიულ განათლებაში ჩადება პრიორიტეტულად საწარმოების 32%-მა დააფიქსირა.

# სექცია 7 – დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

# დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

საწარმოთა რაოდენობა
3,884 (8%)
დასაქმებულთა რაოდენობა
17, 851 (+78%)

**თბილისი** **74%**

**დანარჩენი რეგიონები** **26%**

*2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საწარმოთა 8%-ს (3,884 საწარმო) ჰყავს უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული, ჯამში 17,851 ადამიანი, რაც მთლიანი დასაქმების 2%-ია.*

***დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით***

| | |
|---|---|
| **მსხვილი** | **45%** |
| **საშუალო** | **14%** |
| **მცირე** | **41%** |

*დასაქმებულთა 45% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 14% საშუალოზე, ხოლო 41% მცირე ზომის საწარმოებზე..*

***დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით***




უცხოელთა დასაქმების ყველაზე მაღალი წილი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორზე მოდის - 39% **(დასაქმებულთა რაოდენობა ICT სექტორში წინა წელთან შედარებით 10-ჯერ არის გაზრდილი).**

***დასაქმებულთა განაწილება ძირითადი და ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით***







**ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან** გამოსარჩევია ინფორმაციისა და ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებული ჯგუფების ზრდა, კერძოდ: პროგრამისტები - 3,373 დასაქმებული (+2141% წინა წელთან შედარებით), ICT მომსახურებების მენეჯერები - 1,400 დასაქმებული (+4167%), ICT გაყიდვების სპეციალისტები - 1,226 დასაქმებული (+970%).

# უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ძირითადი მიზეზები

## უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების ძირითადი მიზეზები



- საწარმოს ჰყავს უცხოელი დამფუძნებელი/მენეჯმენტი – 64%
- საწარმო არის უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი – 8%
- ბაზარზე არ არის საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების მქონე ადგილობრივი მუშახელი – 7%
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები იღებენ დაბალ ანაზღაურებას – 3%
- სხვა – 19%

## საჭირო კვალიფიკაციის მუშახელი, რომლებიც არ მოიძებნა ადგილობრივ ბაზარზე

ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

**291**

საწარმოთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იმ პირთა რაოდენობა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიძებნა საჭირო კვალიფიკაციის მუშახელის ვერ მოძიების გამო – 291 პირია, საიდანაც 32% სპეციალისტების ძირითად პროფესიულ ჯგუფს მიეკუთვნება.



# სექცია 8 – პირველი სამუშაოს მაძიებლები

# პირველი სამუშაოს მაძიებლები

ბოლო 12 თვის განმავლობაში დაუქირავებია თუ არა თქვენს საწარმოს პირველი სამუშაოს მაძიებლები?

დიახ – 2, 449 საწარმო (5%)

არა – 46, 694 საწარმო

კვლევის შედეგებით, საწარმოთა **5%**-ს (2,449 საწარმო) ჰყავდა დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებელი, რომელმაც ჯამში **22,415** პირი შეადგინა.

## დასაქმებულთა რაოდენობა – **22, 415**

- პირველი სამუშაოს მაძიებლები უმაღლესი განათლებით – **43%**
- პირველი სამუშაოს მაძიებლები საშუალო განათლებით – **40%**
- პირველი სამუშაოს მაძიებლები პროფესიული განათლებით – **17%**

## რამდენად კარგად იყვნენ მომზადებულები საწარმოში საქმიანობისთვის?

| | საშუალო განათლება | პროფესიული განათლება | უმაღლესი განათლება |
|---|---|---|---|
| ძალიან კარგად – | 16% | 12% | 22% |
| კარგად – | 37% | 34% | 48% |
| საშუალოდ – | 43% | 53% | 29% |
| ცუდად – | 3% | 1% | 2% |
| ძალიან ცუდად – | 1% | 0% | 0% |

# სექცია 9 – თანამედროვე ტექნოლოგიები

# თანამედროვე ტექნოლოგიები

## იყენებთ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებს

| | | |
|---|---|---|
| ✔ | 17% | 8,276 |
| ✖ | 83% | |

საწარმოთა მხოლოდ **17% (8,276 საწარმო)** იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

## სამომავლო ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიებში

| | | |
|---|---|---|
| ✔ | 4% | 1,807 |
| ✖ | 96% | |

სამომავლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას საწარმოთა მხოლოდ **4% (1,807 საწარმო)** გეგმავს.

| | |
|---|---|
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 38% |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 36% |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 30% |
| სამთომოპოვებით მრეწველობა | 13% |
| მშენებლობა | 12% |
| უძრავი ქონება | 9% |

**ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით** თანამედროვე ტექნოლოგიების გამომყენებელი საწარმოთა წილი ყველაზე მაღალი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობების სექტორშია (38%), ხოლო ყველზე დაბალი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში (9%).

| | |
|---|---|
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 12% |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 11% |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 10% |
| უძრავი ქონება | 2% |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 1% |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა | 1% |

ტექნოლოგიებში სამომავლო ინვესტირების განზრახვის მქონე საწარმოთა წილი ყველაზე მაღალია ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორშია (12%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი უძრავი ქონების საქმიანობების სექტორში ( 2%), ტრანსპორტირება და დასაწყობებისა – 1% და ვაჭრობის სექტორებში – 1% ფიქსირდება.

# თანამედროვე ტექნოლოგიები – დასაქმებაზე მოთხოვნის ზრდა / შემცირება

## თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირება გამოიწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას




### პროფესიული ჯგუფების მიხედვით

მეცნიერებისა და ინჟინერიის სპეციალისტები

ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები

სამეცნიერო და საინჟინრო დამხმარე ტექნიკოსები

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები

ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები

## თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირება გამოიწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას




### პროფესიული ჯგუფების მიხედვით

ბუღალტრები

შესაფუთი მანქანების ოპერატორები

მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველები

ტექნიკოს- მემონტაჟე

სამრეწველო სფეროს მუშები

# მადლობა ყურადღებისთვის!